ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3202010

ნომერი: AR1488063

თარიღი : 20.03.2017

გაცემის თარიღი : 13.04.2017

გაცნობის თარიღი : 11.07.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , წყნეთის გზატკეცილი , N 17-ის მიმდებარედ / ქალაქი თბილისი , წყნეთის გზატ. N15 / ქალაქი თბილისი , ბაგები , წყნეთის გზატკეცილი , N 17 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნიკა მერაბიშვილი პ/ნ 01017039677
- თბილისი მ.ქანთარიას ქ. N 12 ბ. 16

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 1 მარტის №551535 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის 20 მარტის №AR1488063 განცხადებით მომართა შ.პ.ს. „ვივა ბაგები“-ს მინდობილმა პირმა ნიკა მერაბიშვილმა და მოითხოვა ქ. თბილისის მერიის სსიპ - ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 1 მარტის №551535 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა, ვინაიდან მოხდა საკადასტრო ერთეულის დამატება.
სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა

შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ - ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის №551535 გადაწყვეტილებით, ქ. თბილისში, წყნეთის გზატკეცილზე, N15-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: # 01.14.07.004.41 (ფართობი: 870 კვ.მ.); #01.14.07.004.42 (ფართობი: 319 კვ.მ.); #01.14.07.004.43 (ფართობი: 105 კვ.მ.) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსების მიზნით დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.
დოკუმენტაციის შესწავლისას დადგინდა, რომ მოხდა მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრების ცვლილება, შესაბამისად განმცხადებელი ითხოვს ხსენებულ გადაწყვეტილებაში ცვლილების განხორციელებას.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად,

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. შეტანილ იქნეს ცვლილება ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 1 მარტის №551535 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში და დაფიქსირდეს განახლებული საკადასტრო გეგმა (საკადასტრო კოდი #01.14.07.004.068 ფართობი 2373 კვ.მ, რეგისტრაციის ნომერი #882017050278, რეგისტრაციის თარიღი: 25/01/2017 წ.) და ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
2. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 1 მარტის №551535 გადაწყვეტილებასთან ერთად.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: შარტავას ქუჩა №7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.